



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

2021



მიმდინარე კონკურსები

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი;

დასრულდა:

1. დოკუმენტური ფილმის წარმოების კონკურსი;
2. პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი;
3. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი.



„აუზი“



„მშვენიერი ელენე“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ნატურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტეკი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ქალაქის თვითმფრინავი“ (პროდიუსერი – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – თამთა მანაგაძე);



„ფრენცის სასადილო“



„დიდი შესვენება“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი).

გადაღების პერიოდშია:


- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალჰოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „EcoFilms“, რეჟისორი – ნიკა წიკლაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშრია);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ (ააიპ „სპარკ“, რეჟისორი – ალექსანდრე ქორიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი) (პროექტი პრობლემურია)
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);

- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“; (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“; (პროდიუსერი – შპს „20 steps productions“ რეჟისორი – ცოტნე რუსიშვილი);

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს „N&N“, რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდო“, რეჟისორი – რუსუდან ჯყონია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭარიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდევილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – ააიპ „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სიჩუმის დარღვევა“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – ელენე ნავერიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჭიბის კაცი“, რეჟისორ/ანიმატორი – ანა ჩუბინიძე);
- ▶ მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადარ შემოძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი – შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი – შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი – ვალ ხარიტონაშვილი);



„როცა 17 წლის ხარ“



„ჩატვირთვა“

დასრულდა

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მცხუნვარე მზეზე“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – ნუცა წიქარიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი –ზაზა ხალვაში);
- დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი – ააიპ „ნიკადოკ ფილმი“, რეჟისორი – ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა“ (პროდიუსერი – ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“, რეჟისორი – ხვიჩა და თინათინ ემირიძეები);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტოტოს უკანასკნელი დღეები“ – (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდიო“მარიამ ბინაძე, რეჟისორი – თორნიკე ტიკარაძე).



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ “მეათე მონმე” – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „Its STUDIO“, სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე.);
- ▶ “თარჯიმანი” – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ა.კ.ა ფილმს“, სცენარის ავტორი – ანა ხაზარაძე.);
- ▶ “მამა აბრამის ბატკანი” – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ “კაი ბიჭები” – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ “თავადის ქალი” – (საპროდიუსერო კომპანია – შოს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – მარგო ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – მარგო ზუბაშვილი);
- ▶ “ქალაქის ეკრანი” – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „აქტმედია“, რეჟისორი – თამარ მშვენიერაძე, სცენარის ავტორი – თამარ მშვენიერაძე);
- ▶ “გაკოტრება” – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- ▶ “არავინ იცის ხვალ რა მოხდება” – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი –, ვაჟა ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – ვაჟა ზუბაშვილი);
- ▶ “უოლდენი” – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი);

კინოფესტივალები და კინოდაჯილდოვებები

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი

6 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით ეროვნულმა კინოცენტრმა კანის კინობაზრობაზე (Marché du Film Online) მეთოთხმეტედ წარმოადგინა საქართველოს სტენდი, სადაც ინდუსტრიული კუთხით მუშაობდა ეროვნული კინოცენტრის გუნდი. კინოცენტრი ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა სახის ღონისძიებას, მათ შორის შეხვედრებს კინოაგენტებთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და ისეთი კინოფესტივალების წარმომადგენლებთან როგორებიცაა: ბერლინის, ლოკარნოს, სან სებასტიანის და ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალები.



აღსანიშნავია, რომ წელს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კანის კინოფესტივალზე 34 წლის შემდეგ დაბრუნდა თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. „მონანიების“ მსოფლიო პრემიერა კანში გაიმართა 1987 წელს. ფილმმა კინოფესტივალის 3 ჯილდო მოიპოვა – ჟიურის „დიდი პრიზი“, „ფიპრესის“ ჯილდო და კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის. ამჯერად ფილმი წარმოდგენილი იყო სექციაში „კანის კლასიკა“. ჩვენებას დაესწრნენ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი ავთანდილ მახარაძე და „მონანიების“ სცენარის თანაავტორი, რეჟისორი ნანა ჯანელიძე.

როგორ დავუჭიროთ მხარი ტალანტებს საერთაშორისო მასშტაბით – ამ თემის ირგვლივ კანის კინობაზრობაზე პანელ დისკუსია გაიმართა. ღონისძიების ერთ-ერთი სპიკერი იყო რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი, ხოლო მოდერატორი – თამარ ტატიშვილი.



სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალი

17-25 სექტემბერს ესპანეთში გაიმართა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალი. იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ა-კლასის კინოფესტივალია, რომელიც 1953 წლიდან იმართება და ყოველწლიურად საავტორო კინოს 200-250 ნამუშევარს სთავაზობს ფესტივალის სტუმრებს.



აღსანიშნავია, რომ წელს სან-სებასტიანის კინოფესტივალის საერთაშორისო ფიურის თავმჯდომარე იყო ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი. დეას სრულმეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „დასაწყისი“ შარშან სან-სებასტიანში ტრიუმფი მოახდინა და 4 ჯილდო მოიპოვა:

- კინოფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს ნიჟარა“;
- დეა კულუმბეგაშვილი – საუკეთესო რეჟისორი (ვერცხლის ნიჟარა);
- ია სუხიტაშვილი – საუკეთესო მსახიობი ქალი (ვერცხლის ნიჟარა);
- დეა კულუმბეგაშვილი და რატი ონელი – საუკეთესო სცენარი (ფიურის სპეციალური პრიზი);

წელს სან-სებასტიანის კინოფესტივალზე საქართველო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი ინდუსტრიული კუთხით. ფესტივალის ინდუსტრიული დღეების ფარგლებში, 19-23 სექტემბერს გაიმართა ღონისძიება FOCUS ON GEORGIA, სადაც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგა. ფესტივალზე გაემგზავრა 10 ქართველი პროდიუსერი საინტერესო საქმიანი შეხვედრების გასამართად და უცხოელ კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.



აღსანიშნავია, რომ სან-სებასტიანის კინოფესტივალის ინიციატივა WIP Europa-ს ფარგლებში ქართველმა რეჟისორმა დავით ფირცხალავამ თავისი ფილმის პროექტი წარადგინა სახელწოდებით „დიდი შესვენება“. ფილმს უკვე მიღებული აქვს ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება.

ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი


4 აგვისტოს შვეიცარიაში საზეიმოდ გაიხსნა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი. იგი ა-კლასის კინოფესტივალია, რომელიც წლიდან წლამდე საავტორო კინოს ათეულობით ნამუშევარს სთავაზობს აუდიტორიას.



კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში Concorso Cineasti del presente გაიმართა ელენე ნავერიანის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის მსოფლიო პრემიერა სახელწოდებით „სველი ქვიშა“. აღსანიშნავია, რომ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა გია აგუმავა, რომლისთვისაც „სველი ქვიშა“ კინოდებიუტი იყო.

ასევე, ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის სექციაში „პანორამა“ აჩვენეს სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“. იგი შვეიცარია-გერმანია-საქართველოს კოპროდუქციაა.

ლოკარნოში წარმოდგენილი ორივე ფილმი – „სველი ქვიშა“ და „მოთვინიერება“ შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი

კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი 20 აგვისტოს გაიხსნა. წელს კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო სამი ქართული ფილმი:



საკონკურსო სექციაში East of the West Competition აჩვენეს იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმი „ოთარის სიკვდილი“. იგი საქართველო-გერმანია-ლიეტუვას კოპროდუქციაა. ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა 21 აგვისტოს.

ასევე, კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა ლევან კოლუაშვილის ფილმის სპეციალური ჩვენება სახელწოდებით „მეოთხე ბრაიტონი“. ფილმის მსოფლიო პრემიერა 2 თვით ადრე გაიმართა ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც მას 3 ჯილდო გადაეცა.

სექციაში Horizons მაყურებელმა იხილა ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“. ფილმმა პირველი საერთაშორისო აღიარება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა, სადაც მას კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (ფიპრესი) ჯილდო გადაეცა.

კარლოვი ვარის კინოფესტივალზე წარმოდგენილი სამივე ქართული ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი წელს სტუმრებს 13-20 აგვისტოს მასპიძლობდა.

სექციაში In Focus აჩვენეს ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?!“. აღსანიშნავია, რომ სექცია აერთიანებს იმ ფილმებს, რომელთაც უკვე მიაღწიეს დიდ წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე.



20 აგვისტოს სარაევოს კინოფესტივალმა გამარჯვებულები გამოავლინა. ფილმების საკონკურსო სექციების გარდა, ტრადიციულად, ჭილდოები გასცა სინელინკის კოპროდუქციის ბაზრობამ, რომელიც ფესტივალის ფარგლებში მიმდინარეობს.

WORK IN PROGRESS AWARD გადაეცა თინათინ ყაჭრიშვილის ფილმის პროექტს „მოქალაქე წმინდანი“. ფილმს უკვე აქვს მოპოვებული ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება.

“მიტოვებული სოფელი“

მიტოვებული სოფელი მარიამ კაპანაძის ანიმაციური ფილმია, რომელიც არაერთ ქვეყანაში წარმატებით აჩვენეს. ფილმის პროდიუსერია მარიამ კანდელაკი, ხოლო მხატვარი ირაკლი ტოკლიკიშვილი.



ფილმს პარიზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გადაეცა 2 ჯილდო: ჟიურის პრიზი და მაყურებლის ჯილდო. მალევე იგი საუკეთესო დიზაინისთვის დაჯილდოვდა კანადაში, ოტავას ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.

“მიტოვებული სოფელი“ ასევე აჩვენეს იტალიაში, ისრაელში, ბულგარეთსა და იაპონიაში, სადაც იგი 24 000-მა სტუმარმა იხილა.

„უარყოფითი რიცხვები“

იტალიაში, საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე Nòt Film Fest უტა ბერიას ფილმს „უარყოფითი რიცხვები“ გადაეცა 2 მთავარი ჯილდო:

- საუკეთესო ფილმი
- საუკეთესო რეჟისორი (უტა ბერია)



„უარყოფითი რიცხვები“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი არასრულწლოვან ვაჟთა კოლონიაში განვითარებული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს, სადაც რაგბის ვარჯიშები ინიშნება და პატიმრებში როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური გამოჯანსაღება იწყება.

საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი CinéDOC-Tbilisi

CinéDOC-Tbilisi-ს წლევანდელი გამოშვება 15 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით ჰიბრიდული ფორმატით გაიმართა. კინოფესტივალმა მაყურებელს შესთავაზა როგორც განსაკუთრებული კინოკოლექცია, ასევე უახლესი დოკუმენტური ფილმები Focus Caucasus-ის საკონკურსო სექციიდან. ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ფესტივალის პარტნიორი იყო.



15 აგვისტო 15 სექტემბერი
AUGUST SEPTEMBER
2021



ფილმების ხილვა რამდენიმე პლატფორმაზე იყო შესაძლებელი: საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელედარბაზში, CinéDOC-Tbilisi-ის ვირტუალურ დარბაზში, საერთაშორისო ონლაინდისტრიბუციის პლატფორმაზე DAFilms.com. და აჭარის ტელევიზიის ეთერში.

საკონკურსო სექციაში Focus Caucasus ჭილდოები შემდეგნაირად გადანაწილდა: (სექცია აერთიანებს ფილმებს კავკასიის რეგიონიდან – სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან).

- მთავარი პრიზი გადაეცა ფილმს „სტორგეტნია“, რეჟისორი ჰოვიგ ჰაგოპიანი (საფრანგეთი/სომხეთი);
- ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა ფილმმა „მაცვალელები გაგვიგებენ“, რეჟისორები: ანა ჭეგნარაძე, მარიტა თევზაძე (საქართველო);
- სპეციალური პრიზი Docs Up Fund-ის დაფინანსებით (5000 ლარი) – მერი მკრტიანის ფილმი „ჯეინ ჯან“ (სომხეთი);
- სპეციალური აღნიშვნა – სალომე ჯაშის ფილმი „მოთვინიერება“ (შვეიცარია, გერმანია, საქართველო);

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი

24 სექტემბერს, კინოთეატრ „აპოლოში“ შედგა ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის დახურვის ცერემონია. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები სამ საკონკურსო სექციაში გასცა – საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ კი კრიტიკოსთა რჩეული მხატვრული ფილმი გამოავლინა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი ფილმის „რას ვხედავთ, როცა ცას ვუყურებთ?“ განმეორებითი ჩვენება.



კინოფესტივალის წლევანდელი გამოშვების ჭილდოები ასე გადანაწილდა:

მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- გრან პრი – „რას ვხედავთ, როცა ცას ვუყურებთ?“, რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე, საქართველო/გერმანია;
- საუკეთესო რეჟისურა – კორნელ მუნდრუცო ფილმისთვის „ევოლუცია“, გერმანია/უნგრეთი;
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – სერგი ფილიმონოვი ფილმში „მარტორქა“, რეჟისორი ოლეგ სენცოვი, უკრაინა/გერმანია/პოლონეთი;
- საუკეთესო მსახიობი ქალი – ნუცა კუხიანიძე ფილმში „ოთარის სიკვდილი“, რეჟისორი იოსებ (სოსო) ბლიაძე, საქართველო/გერმანია/ლიტვა;
- სპეციალური პრიზი – „ბანდარ ბენდი“, რეჟისორი მანიჭე ჰეკმატი, ირანი და „ოთარის სიკვდილი“, რეჟისორი იოსებ (სოსო) ბლიაძე, საქართველო/გერმანია/ლიტვა;



დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – „1970“, რეჟისორი ტომას ვოლსკი, პოლონეთი;
- სპეციალური პრიზი – „ორმო“, რეჟისორი ანდრეი გრიაზევი, რუსეთი და „ატლანტიდა“, რეჟისორი იური ანკარანი, იტალია/საფრანგეთი/აშშ/ ყატარი;

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექცია

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „ლეოპოლისის ღამე“, რეჟისორი ნიკონ რომანჩენკო, უკრაინა;
- სპეციალური მოხსენიება – „სამზადისი“, რეჟისორი ილია ასიტაშვილი, საქართველო, „მარტოსული ლილი“, რეჟისორი ზუ ჯინგი, ჩინეთი და „როგორც მიკონოში“, რეჟისორი ალესანდრო პორციო, იტალია;

ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურის ჭილდო

- „რას ვხედავთ, როცა ცას ვუყურებთ?“, რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე, საქართველო/გერმანია.

პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის

- ჟანრი ლოლაშვილი (საქართველო)
- კახი ხუციშვილი (საქართველო)

“ალტერნატიული ტალღის” ფარგლებში, სტამბულის კინოფესტივალის ინდუსტრიული პლატფორმა „Meeting on the Bridge“-ის მიერ შერჩეული იქნა ქართული პროექტი – „მე, გრეტა“, ავტორები: მირანდა ნამიჭეიშვილი და ანი კვიციძე.

საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“

2021 წლის 25-დან 30 სექტემბერის ჩათვლით ჩატარდა საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალის „თაობა“, მეოთხე საფესტივალო გამოშვება.



25 სექტემბერს ფესტივალი გაიხსნა კინოთეატრ „ამირანის“ დიდ დარბაზში გერმანული საბავშვო ფილმის „ჯიმ ბატონი და ველური 13“ ქართული პრემიერით.

26-დან 30 სექტემბრის ჩათვლით, ძირითადი საფესტივალო პროგრამა გაიმართა სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში. ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდებმა ნახეს 19 მოკლემეტრაჟიანი და 4 სრულმეტრაჟიანი საკონკურსო ფილმი.

საგანმანათლებლო პროგრამა წარიმართა ონლაინ, რეგულაციების დაცვით. მოწვეულ სპიკერებს შორის იყვნენ: კინორეჟისორი ლევან კოდუაშვილი, კინომცოდნე თეო ხატიაშვილი, კინომცოდნე ლელა ოჩიაური, მედიის სპეციალისტი დათო ლობჯანიძე და სხვები.

28 სექტემბერს კინოხელოვნებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის ჩატარდა პროექტი „თაობის აკადემია“. 6 საღებჭიკო საათის განმავლობაში დრამატურგი თამარ ბართაია სტუდენტებს ასწავლიდა კინოდრამატურგიის ძირითად საკითხებს.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 4 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართული პრემიერა:

- Padrenostro (იტალიის საელჩოს მხარდაჭერით)
- Body of Water (გაერთიანებული სამეფო)
- Any Day Now (ფინეთი)
- Jim Button and the Wild 13 (გერმანია)

კინოფესტივალს ესწრებოდა უცხოელი კინორეჟისორი Tijana Mamula, რომლის ფილმიც მონაწილეობდა ოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსში. კინოჩვენების შემდგომ გაიმართა მონაწილე ახალგაზრდების დისკუსია რეჟისორთან.

“თაობა 2021“-ის ახალგაზრდა აუდიტორიის რჩეულები გახდნენ:

- სრულმეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი – Padrenostro (რეჟისორი: კლაუდიო ნოჩე);
- მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი – Mew (რეჟისორი: ვასილი შერბაკოვი);

კინოფესტივალის დახურვის ცერემონია ჩატარდა 30 სექტემბერს, რის შემდეგაც გაიმართა კინომუსიკის ონლაინ კონცერტი ახალგაზრდა მუსიკოსების შესრულებით.

PLATINO INDUSTRIA FORUM

27 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით მადრიდში გაიმართა Iberseries Platino Industria Forum-ი. ღონისძიება ლათინო-ამერიკის კინოდაჯილდოების ცერემონია Platino Awards-ის ნაწილია, სადაც ყოველწლიურად ათეულობით აღიარებული კინემატოგრაფისტი ჯილდოვდება სხვადასხვა ნომინაციაში.



ეროვნული კინოცენტრისა და ესპანური ორგანიზაცია „ეხედას“ თანამშრომლობით, ფორუმზე გაემგზავრნენ ქართველი პროდიუსერები.

ფორუმის ფარგლებში ქართველ პროდიუსერებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამომავლო თანამშრომლობის მიზნით უცხოელი კოლეგებისთვის წარედგინათ თავიანთი პროექტები და საპროდიუსერო კომპანიები, დასწრებოდნენ B2B შეხვედრებსა და დაემყარებინათ ახალი კონტაქტები. შედგა შეხვედრები ისეთ კომპანიებთან როგორებიცაა: Netflix Europe, Amazon Studios, Sony, Telemundo.

30 სექტემბერს საქართველოს სტენდზე მოეწყო ქართული წვეულება, რომელსაც დაესწრო ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია გიორგაძე. სტენდის სტუმრებმა გაიცნეს საქართველო, როგორც გადასადები ლოკაცია, ქართული ღვინო და კულინარია.



მადრიდის შემდეგ, ესპანელი და ქართველი პროდიუსერების თანამშრომლობა თბილისში გაგრძელდება.

EU ღონისძიება მადრიდსა და თბილისში ხორციელდება ევროკავშირის პროგრამა EU4-Business: Connecting Companies-ის მხარდაჭერით. პროგრამის მიზანია ევროკავშირის წევრ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარება.

პრემიერები რეტროსპექტივები

- სანდრო სულაძის ფილმ „გუშაგების“ მსოფლიო პრემიერა გაიმართა კინოფესტივალზე Raindance, საკონკურსო პროგრამაში New Departures.
- 7 აგვისტოს მექსიკაში შედგა ჩვენება დოკუმენტური ფილმისა „დიდება დედოფალს“. იგი ლეგენდარული ქართველი ქალი მოჭადრაკეების შესახებ მოგვითხრობს.
- ესტონეთის რესპუბლიკაში გაიმართა თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიების“ ჩვენება. ღონისძიება მიეძღვნა საქართველოსა და ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლისთავს.


ქართული კინოპროექტები საზღვარგარეთის ინდუსტრიულ პლატფორმებსა და კინობაზრობებზე

- გიორგი ოვაშვილის ფილმის პროექტმა „მთვარე მამაა ჩემი“ ჩეხეთის კინოფონდის დაფინანსება მოიპოვა.
- აზიური კინობაზრობის მიერ შეირჩა მარიამ ხაჭვანის ფილმის პროექტი „ნენე“ (პროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავა).



1 ივლისს ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ჟურნალ „კინ-0“-ს მეორე ნომრისა და ქართული ფილმების ყოველწლიური კატალოგის პრეზენტაცია. პირველი ნომრის მსგავსად, ჟურნალ კინ-0-ს მეორე ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები თეო ხატიაშვილი და გიორგი რაზმაძე.

ნომერში აქტიურად არის განხილული საავტორო პოლიტიკის საკითხები და მათ შესახებ არსებული დისკუსიები. მკითხველი ასევე გაეცნობა ალექსანდრ ასტრუეკისა და ფრანსუა ტრიუფოს ქრესტომათიული წერილების თარგმანებსა და განსხვავებული ავტორების ინტერვიუებს.



კინოჟურნალის გარდა, ღონისძიებაზე მოხდა ქართული ფილმების ყოველწლიური კატალოგის პრეზენტაცია, რომელსაც ეროვნული კინოცენტრი 2005 წლიდან გამოსცემს. კატალოგში შესულია ინფორმაცია წარმოებაში მყოფი და უკვე დასრულებული ქართული მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმებისა და წლების მანძილზე აღდგენილი კინომემკვიდრეობის შესახებ. ქართული ფილმების ყოველწლიური კატალოგი ორენოვანია – ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ზაფხულის კინოსკოლა

19 ივლისიდან ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით საქართველოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში „ზაფხულის კინოსკოლა“ დაიწყო. წელს პროექტში მონაწილეობდნენ შემდეგი სოფლები: ერგნეთ-მამისაანთუბნი, ცაგერი, მაჭათია, შავშვები, ხურვალეთი, ზეგნი, დიდაჭარა, მერეთი, ანაკლია, თამარაშენი, განმუხური, რიყე და რუხი.



2 კვირის მანძილზე პროექტის ფარგლებში შედგა ჩვენება-დისკუსიები, კინოენის შემსწავლელი გაკვეთილები და ფილმების გადაღება. კინოსკოლელების სოფლებში 13 კინომისიონერი გაემგზავრა. კორონავირუსის პანდემიის გამო მიღებული უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კინოჩვენებები ღია ცის ქვეშ იმართებოდა.

„ზაფხულის კინოსკოლა“ პირველად 2015 წელს განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. 2016 წლიდან კი პროექტის მხარდამჭერებს ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ შეუერთდა. პროექტის მიზანია საქართველოს რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გაცოცხლება და ადგილობრივი კულტურული სექტორის გაძლიერება.

„ზაფხულის კინოსკოლა“ ნაწილია პროექტისა „კინო სკოლაში“, რომელიც მერვე წელია წარმატებით ხორციელდება.



25 სექტემბერს, 22:00 საათზე ეროვნული კინოცენტრის კინოკლუბში გაიმართა ზურაბ ინაშვილის დოკუმენტური ფილმის ონლაინ ჩვენება სახელწოდებით „სხვა ქალაქი“.

ფილმი 2014 წელს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი ნაჩვენები იყო სხვადასხვა არქიტექტურულ ფორუმზე, მათ შორის ჩეხეთსა და გერმანიაში. „სხვა ქალაქი“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სატელევიზიო ჩვენებების დროს ქართველ მაყურებელში.

ზურაბ ინაშვილი თენგიზ აბულაძის კინოსახელსონოს პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელიც წლების მანძილზე მოღვაწეობდა დოკუმენტური კინოს ჟანრში. რეჟისორი 2021 წლის ივნისის თვეში გარდაიცვალა და დაგვიტოვა დოკუმენტური ფილმების მთელი სერია, სადაც ასახულია დღევანდელი ქართველი ადამიანის ყოფა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები.

25 სექტემბერს ზურაბ ინაშვილის დაბადების დღე იყო. ეროვნულმა კინოცენტრმა კინოჩვენება რეჟისორის ხსოვნასა და მის შემოქმედებას მიუძღვნა.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge



**საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი**
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge